ოქმი #3

# ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 31 იანვარი, 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, მ. ყურაშვილი, ო. ჩაკვეტაძე, მ. მამარდაშვილი, ნ. საღინაძე, თ. ნემსწვერიძე, ნ. ბურჯალიანი, ნ. ტვილდიანი, ბ. ახვლედიანი, გ. გურგუჩიანი, რ. ყურაშვილი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, ა. თვარაძე, ა. მახარობლიძე.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

## დღის წესრიგი

**დადგენილება:**

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

**განკარგულება:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ89.03.21.224) №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ერთი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრისთვის“ (ს/ნ 442570004) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი/

**დადგენილება:**

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ზ. ხეცურიანი/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა განმარტა, რომ აღნიშნული დადგენილება დამტკიცდა 2023 წლის 28 დეკემბრის საკრებულოს სხდომაზე. დაგენილებაში ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ დღეს წარმოდგენილი ცვლილება ეფუძნება მთავრობის ადმინისტრაციის მოთხოვნებს: სამართლებრივ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.

აღნიშნული დადგენილების პროექტი სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

**განკარგულება:**

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ 89.03.21.224) №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ერთი წლის ვადით ა(ა)იპ ,,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრისთვის“ (ს/ნ 442570004) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას წერილით მომართა ა(ა)იპ ,,ესთეტიკური აღზრდის ცენტრის“ დირექტორმა ზურაბი ჩანქსელიანმა და მოითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არსებული, ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობა პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) გადაცემა საჭიროებისათვის და კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირების მიზნით.

მუნიციპალიტეტის მერი კანონმდებლობის შესაბამისად ითხოვს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობას აღნიშნული უძრავი ქონების ქ. ცაგერში, აღმაშენებლის ქ. №73-ში მდებარე №1 შენობის მეორე სართული და №2 შენობა ა(ა)იპ ,,ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით - სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) ერთი წლის ვადით გადაცემის შესახებ.

აღნიშნული განკარგულების პროექტი სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

**საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი**